



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 477  
03/04/2018

477-02-4-201804031628



**ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის განსაზღვრის შესახებ**

„პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N 220 დადგენილების საფუძველზე,

### *ვბრძანებ:*

**მუხლი 1.** განისაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესი დანართი 1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს „კომპეტენციების გაცნობის ოქმის ფორმა“ დანართი 2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3.** დამტკიცდეს „შუალედური შეფასების ოქმის ფორმა“ დანართი 3-ის შესაბამისად.

**მუხლი 4.** დატკიცდეს „საბოლოო შეფასების ოქმის ფორმა“ დანართი 4-ის შესაბამისად.

**მუხლი 5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ონის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. ონი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N13) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი